



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბრენძულო



გ ა ნ დ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 275

“—” 9 ივნისი
“—” 2023 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.01.002.270) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის №386 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის №23.823.911 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.01.002.270) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის №386 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01231001801-67(№01231282416-67; №01231352698-67; №01231531810-67; №0123158255-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმა მტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, დაურეგისტრირებელი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში გათვალისწინებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობის შემთხვევაში.

3. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

A handwritten signature in blue ink, enclosed in a blue oval. The signature appears to read "გიორგი ტყემალაძე".



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.823.911

7 / ივნისი / 2023 წ.

„ქალაქ თბილისში, ნადიგვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.270)

მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N386 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 10 აპრილს N01231001801-67(N01231282416-67; N01231352698-67; N01231531810-67; N0123158255-67) განცხადებით მიმართა მამუკა ჩირგაძემ (პ/ნ 53001011442) და მოითხოვა „ქალაქ თბილისში, ნადიგვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.270) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N386 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნადიგვარის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.01.002.313; N01.18.01.002.312; N01.18.01.002.311; N01.18.01.002.310; N01.18.01.002.309; N01.18.01.002.308; N01.18.01.002.306; N01.18.01.003.140; N01.18.01.003.123; N01.18.01.003.119) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე. N01.18.01.003.140; N01.18.01.003.123; N01.18.01.003.119 საკადასტრო ერთეულები და დაურეგისტრირებული არეალი (4 კვ.მ.) წარმოდგენს საპროექტო გადაწყვეტით კორექტირების ეტაპზე დამატებულ მიწის ნაკვეთებს. ნაკვეთების საერთო ფართობი: 2025 კვ.მ. დღეის მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიაზე წვდომა ხორციელდება ვ. გორგასლის ქუჩიდან შემომავალი ქუჩებით, რომელთა შორის უმთავრესს წარმოადგენს თბილისი კოჯირის ახლად გაკეთებული გზა.

„დედაქალაქის მიწათსარებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.003.140; N01.18.01.003.123; N01.18.01.003.119 დაურეგისტრირებული არეალი (4 კვ.მ.)) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სტ-2). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში (პზ);

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ნადიგვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.270) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N386 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

წარმოდგენილი, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირების საპროექტო წინადადების მიხედვით, დაგევმილია N01.18.01.003.140; N01.18.01.003.123; N01.18.01.003.119



საკადასტრო ერთეულების ერთ მიწის ნაკვეთად გაერთიანება, რომელიც ხდება სექტორი N9. ასევე, საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედი საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3). საპროექტო ტერიტორია განვითარდება საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) განაშენიანების რეგულირების პარამეტრებით ($\zeta_1=0,5$; $\zeta_2=1,5$; $\zeta_3=0,3$). საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება ერთი მრავალი მინიჭებული საცხოვრებელი სახლი, რომლის მაქსიმალურ სართულიანობად დადგენილია 5 სართული, ხოლო მაქსიმალურ სიმაღლედ 15 მეტრი.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ნაკვეთის ფართობი 2025.კვ.მ;

არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2);

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)- ფართობი = 2025 კვ.მ;

ნაკვეთი N9 - 2025 კვ.მ:

$\zeta_1=0,5$; $\zeta_2=1,5$; $\zeta_3=0,3$.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახვები“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-4, მე-5 და 51 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული მოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმვარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაში უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაში უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა საგადაფებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პოლიტიკი;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 7 ივნისის N0123158485 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანამშაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2023 წლის 7 ივნისის N0123158643 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

შემოაღწიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდგბარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.270)

მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N386 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ.“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-ნ პუნქტის, ასევე,


N01231001801-67(N01231282416-67; N01231352698-67; N01231531810-67; N0123158255-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწოდებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ნადიგვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასასლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საგადასტრო კოდი: N01.18.01.002.270) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N386 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწოდებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

განკარგულების მუნიციპალიტეტის მერი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 0123158485

თარიღი: 07/06/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 7 ივნისის №0123158255-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ნადიკვრის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.18.01.003.140, 01.18.01.003.123, 01.18.01.003.119 და დაურევისტრიორებელი ტერიტორია; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3); საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-3) მრავალფუნქციური კომბლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 29 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღმატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილები) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმად გადაირგოს ზემოაღნიშნული 29 ძირი (ს/კ: 01.18.01.003.123 - №1, №5 - №29, №31 - №32) მწვანე ნარგავი, უფლებამოსილი ორგანის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 3 ძირი (ს/კ: 01.18.01.003.123 ხემყრალი №2 დ=35; თუთა №30 დ=41.4, №33 დ=38.2) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღმატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომელის დიამეტრი აღმატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტერიტორიაზე აირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხელის ბუნებრივი გარემოდან ამოღება/ გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს სუფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა წარადგინება მათზე უფლებამოსილი ბირის მიერ ინდივიდუალურად შედგინილ გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომბანიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციექნიგი და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული/ გადასარგავი: 42 ძირი; საპროექტო დასარგავი: 10 ძირი იტალიური ფიჭვი, 10 ძირი ნეკერჩალი - ქორაფი, 10 ძირი ესპანური სოჭი; ჯამში - 72 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო მინიმალურ სააგარიშო ფართობს (608 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განვარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

აქვე, გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარება გაედინება შპს-ის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდეიტი“ ბალანსშე რიცხვული წყალსადენის ქსელი, განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები და მიღებადენის ზონაში არ უნდა მოხდეს მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, ავტოსადგომების, სკვერების, ბაგზოთა გასართობი მოედნებისა და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება სხვა ხაზობრივი ნაგებობებიც, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭირო დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომელის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად
საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ეპლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული პირი – ეპლაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ფრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0123158643

თარიღი: 07/06/2023

2023 წლის 7 ივნისის N 0123158255-67 განცხადების პასუხად, რომელიც შექმნება ქალაქ თბილისში, ნადიგვარის ქუჩა N 34_ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.18.01.003.140, 01.18.01.003.123, 01.18.01.003.119 და სხვა.) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 30 ივნისის N 01201823033-67 განცხადების პასუხად N 16-0120189613 წერილით. დადებითი პოზიცია დაფიქსირებულია ასევე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.


ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რამაც შეიძლება არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.


თავისი კომპეტენციის ფარგლებში სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.


გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი







ასაპიროებული არგალის ფართია 97 498 ვ. მ. საპრეოფტო გადაწყვეტილი მონაცემი 01.18.01.003.140; 01.18.01.003.123; 01.18.01.003.119; აღნიშნული კოდების გაერთიანება ლა გრე-ში ღაფუსირილება რომელიც წევეთა დ;







ପ୍ରକାଶକ ପରିଚୟ ଓ ଲେଖକ ଜାଗରଣ ମାର୍ଗଦାରୀ ପରିଚୟ ଓ ଲେଖକ ଜାଗରଣ ମାର୍ଗଦାରୀ 4-3-୫







პირველი კუნძულები



საპროექტო გალაზურის კონტროლით კონტროლის ვალიურების ეტაპზე დამტკიცილი კონტროლი: 01.18.01.003.140; 01.18.01.003.123; 01.18.01.003.119 და ღაურობისტის კონტროლი არტალი 4.33.3;


საპროექტო არტალის ფართი 97 498 35-ტ. საპროექტო მაღაწვეტით მოხდება 01.18.01.003.140; 01.18.01.003.123; 01.18.01.003.119; აღმოჩეული კონტროლის მარტივანება და მრტ-ში ღაურობისტის როგორიც N9 ნაკვეთი;



ფართობითი მდგრადი მდგრადი ს.01.18.01.003.123 ში მუშაობილი 4.33.3 და ღაურობისტის სივრცით გადაწყვეტილი სივრცით აღმოჩეული მავრუნო მავრუნო საკალასტრის გარეთ;

ასევე მოვალეობით საკალასტრისა ზოგვრის ცვლილება ფართობის უცვლელებად ერთობლივ არართული მეცნიერის მიზნით;

მიზანი დაცვითი ტერიტორიის რეგულირების არგუმენტი

1	ნაკლები გარეობა	N9
2	ნაკლები გარეობა	2025 3.8
3	მიზანი დაცვითი უცვლელება	არართული
4	მიზანი დაცვითი უცვლელება	სამართლის მიზანი
5	მიზანი დაცვითი უცვლელება	სამართლის მიზანი
6	მიზანი დაცვითი უცვლელება	სამართლის მიზანი
7	მიზანი დაცვითი უცვლელება	სამართლის მიზანი
8	მიზანი დაცვითი უცვლელება	არართული
9	მიზანი დაცვითი უცვლელება	არართული
10	მიზანი დაცვითი უცვლელება	არართული
11	მიზანი დაცვითი უცვლელება	არართული
12	მიზანი დაცვითი უცვლელება	არართული





0909090909
0909090909

ପ୍ରକାଶକ
1. ବ୍ୟା-ପ୍ରକାଶକ କେ
2. ମରିଯୁ ପ୍ରକାଶକ
ଅନ୍ତର୍ଜାଲରେ ଉପରେ
ବ୍ୟାପକ ପରିମାଣରେ
ବ୍ୟାପକ ପରିମାଣରେ
ବ୍ୟାପକ ପରିମାଣରେ

ମେଲିମାନ 2021